ტვინების ბრძოლა
ფინალი | შემოდგომა 2023
U5 (III, IV, V კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი სერიალის **ბოლო სერიის** სახელწოდებაა "**ფილინა**". საინტერესოა, რომ თუ სიტყვაში "ფილინა" ასოებს **გადავანაცვლებთ**, შეგვიძლია, მივიღოთ სიტყვა "**იქსი**". **თქვენ ახლა იმყოფებით იქსში**. დაასახელეთ იქსი **ექვსი ასოსგან შემდგარი** სიტყვით.

პასუხი: ფინალი
კომენტარი: თუ სერიალის ბოლო სერიის სახელწოდებაში გადავანაცვლებთ ასოებს, მივიღებთ სიტყვას "ფინალი", რაც მიგვანიშნებს, რომ სერიალი მთავრდება. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტვინების ბრძოლის ფინალში.

2. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
დარიგებულ მასალაზე გამოსახულია პიერ ნოელი, რომელიც **იქსის ფრანგული ანალოგია**. იქსისგან **განსხვავებით**, მას არა **ირემი**, არამედ **ვირი** ჰყავს. დაასახელეთ იქსი **ორი სიტყვით**.

პასუხი: სანტა კლაუსი
ჩათვლა: თოვლის პაპა
კომენტარი: შეამჩნევდით, რომ მასაც ამშვენებს საჩუქრები და თეთრი წვერი.

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ **ამერიკულ** ფილმში პერსონაჟი მწნილის კასრში **ჩავარდება** და **რამდენიმე ათწლეულს** მასში გაატარებს. კასრიდან **ამოსვლის** შემდეგ კი ის **ისეთივე ახალგაზრდა** აღმოჩნდება, როგორც ჩავარდნის დროს იყო. **სიმბოლურია**, რომ ფილმში ამ პერსონაჟს **ადარებენ** ერთ-ერთ **შურისმაძიებელს**. დაასახელეთ ეს **შურისმაძიებელი**.

პასუხი: კაპიტანი ამერიკა
კომენტარი: კაპიტანი ამერიკა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო გაყინული, თუმცა წლების შემდეგ, როდესაც "გაალღვეს", გარეგნულად ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც გაყინვისას.

4. 5-ქულიანი შეკითხვა
უილიამ მაკდოუელის რომანში გვხვდება **ბოროტი** პერსონაჟი, რომელსაც სურს, **ბავშვებს შობა ჩაუშხამოს**. **სიმბოლურია**, რომ პერსონაჟი არის სწორედ ამ **ფერის**. დაასახელეთ ეს **ფერი**.

პასუხი: მწვანე
კომენტარი: რომანში გვხვდება ალუზია ყველასათვის ცნობილ პერსონაჟზე ნაწარმოებიდან და ფილმიდან "როგორ მოიპარა გრინჩმა შობა", რომელსაც ანალოგიური სურვილი აქვს. გრინჩი, მოგეხსნებათ მწვანეა, რაც მის სახელშიც არის ასახული.

5. 6-ქულიანი შეკითხვა
მსახიობები უილიამ **მაუქი** და რობერტ **მაუქი** 1921 წლის **6 ივლისს დაიბადნენ**. ორივე მათგანი **მთავარ როლებს** ასრულებენ 1937 წელს გამოსულ **ეკრანიზაციაში**. **თქვენთვის ცნობილი** რომელი **ნაწარმოების** ეკრანიზაციაზეა საუბარი?

პასუხი: უფლისწული და მათხოვარი
კომენტარი: ორივე მსახიობი გვარად მაუქია და ერთსა და იმავე დღეს არიან დაბადებული. ეს ფაქტები დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა იმაზე, რომ რობერტი და უილიამი ტყუპები იყვნენ. ისინი ერთნაირად გამოიყურებოდნენ; ერთმა უფლისწული ედუარდის როლი შეასრულა, მეორემ კი - ტომ კენტის.

6. 7-ქულიანი შეკითხვა
„იქსის სუნთქვა" არის **მწარე წიწაკა**, რომელიც იმდენად **წვავს**, რომ შეიძლება ადამიანი **იმსხვერპლოს** კიდეც. ერთ **ანიმაციაში** გვასწავლიან **იქსის მოთვინიერების** ხერხებს. დაასახელეთ **ფანტასტიკური** არსება, რომელიც იქსით შევცვალეთ.

პასუხი: დრაკონი
კომენტარი: წიწაკა „დრაკონის სუნთქვა" თავისი სიცხარით იმდენად მწველია, რომ შეუძლია ადამიანი იმსხვერპლოს. როგორც მოგეხსენებათ, დრაკონი პირიდან ცეცხლს უშვებს და წვავს. შეკითხვაში საუბარი იყო ანიმაციაზე "როგორ მოვათვინიეროთ დრაკონი".

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ძველ **ეგვიპტეში** არსებობდა ქალაქი **კროკოდილოპოლისი**, რომელსაც სახელი **წყლის ეგვიპტური ღვთაების** - სებეკის პატივსაცემად ეწოდა. ღვთაება სებეკს ეგვიპტელები გამოსახავდნენ **ადამიანის ტანით** და **იქსის თავით**. დაასახელეთ **არსება**, რომელიც იქსით შევცვალეთ.

პასუხი: ნიანგი
კომენტარი: კროკოდილოპოლისი დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა არსებაზე, რომლის

სახელიც ინგლისურში ჟღერს, როგორც Crocodile. ღვთაება სებეკი წყლის ღვთაება იყო, ამიტომ მას ნიანგის თავი აქვს.

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]
ალექსანდრე მაკედონელმა თავის **არმიაში** აკრძალა **გრძელი იქსი**, რათა **მტერს** არ შესძლებოდა **ჯარისკაცებისთვის ხელის ჩავლება**. მსოფლიოს **ყველაზე გრძელი** იქსის **რეკორდი** ეკუთვნის მოქალაქეს, რომლის იქსის სიგრძეც **ხუთნახევარ მეტრს** აღემატებოდა. დაწერეთ **მოკლე** სიტყვა, რომელიც შევცვალეთ იქსით.

პასუხი: თმა
კომენტარი: მაკედონელმა ჯარისკაცებს თმის გაზრდა აუკრძალა, რათა მტერს მარტივად არ შესძლებოდა მისი ჯარისკაცებისთვის ხელის ჩავლება თმაში.

9. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]

*[შენიშვნა წამყვანს: შეკითხვის დასმამდე ჰკითხეთ მონაწილეებს, იციან თუ არა, რას ნიშნავს **დიდოსტატი** და **შამათი** ჭადრაკში. შემდეგ განუმარტეთ, რომ დიდოსტატი ჭადრაკის უმაღლესი რანგის მოთამაშეა, ხოლო შამათი თამაშის დასრულებას ნიშნავს.]*

შეკითხვაში სიტყვებით "**აკეთებს ამას**" შეცვლილია ერთი სიტყვა.
ჭადრაკში **დიდოსტატი** იშვიათად თამაშობს **შამათის ჩასმამდე**. თუ დიდოსტატი ხედავს, რომ **თამაშს წააგებს**, ის მაშინვე **აკეთებს ამას**. დარიგებულ მასალაზე **ტომი აკეთებს ამას**. დაწერეთ **სიტყვა**, რომელიც შევცვალეთ სიტყვებით "**აკეთებს ამას**".

პასუხი: ნებდება
კომენტარი: თუ დიდოსტატი ხედავს, რომ თამაში ადრე თუ გვიან მისი წაგებით დასრულდება, დროს აღარ კარგავს და პირდაპირ ნებდება. თეთრი დროშა დანებების სიმბოლოა, ამიტომ ამ ეპიზოდში ტომი ნებდება. წინ კიდევ ბევრი შეკითხვაა, ამიტომ მოგიწოდებთ, არ დანებდეთ!

10. 5-ქულიანი შეკითხვა

ერთმა **სასულიერო პირმა** შექმნა ერთგვარი გერბი. გერბზე გამოსახულია **იქსი,** რომელიც **მარცხნიდან დასავლეთ**, **მარჯვნიდან** კი - **აღმოსავლეთ ევროპას** უჭირავს. იქსი რამდენიმე **ევროპული ქვეყნის დროშაზეც** გვხვდება. დაასახელეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: ჯვარი
კომენტარი: სასულიერო პირმა კათოლიციზმისა და მართლმადიდებლობის გამაერთიანებელი სიმბოლო, ორი ხელით დაჭერილი ჯვარი შექმნა. ჯვარი გვხდება საქართველოს, ინგლისის, შვედეთისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების დროშებზე.

11. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

W			Z

]
ერთ **ინგლისურენოვან** სერიალში მთავარი გმირი დიდხანს ვერ ხსნის დარიგებულ მასალაზე გამოსახულ **კროსვორდს**, რომლის შეკითხვაც ჟღერს ასე: "**ისინი გვხვდებიან ბოლოში**". გარკვეული დროის შემდეგ იგი ხვდება, რომ ჩასასმელია **ოცდამეოთხე** და **ოცდამეხუთე**. პასუხების ფურცელზე დაწერეთ **თითო-თითო სიმბოლო**, რომლებიც შევცვალეთ სიტყვებით "**ოცდამეოთხე**" და "**ოცდამეხუთე**".

პასუხი: X; Y / იქსი; იგრეკი
კომენტარი: ასოები W, X, Y, Z ინგლისური ანბანის ბოლოში გვხვდებიან. ინგლისური ანბანი სულ 26 ასოსგან შედგება და 24-ე და 25-ე ასოები სწორედ X და Y არიან. ჩვენს შეკითხვებში ხშირად შეხვდებით ხოლმე სიტყვებს, რომლებიც იქსითა და იგრეკით არის შეცვლილი. ამ შემთხვევაში კი თავად იქსი და იგრეკი შევცვალეთ სხვა სიტყვებით.

12. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ჟურნალში ნახსენებია **ბიზნესმენი**, რომელიც ერთი შეხედვით **უსარგებლო საგნებს ძვირფას ნივთებად აქცევს**. ჟურნალში ეს ბიზნესმენი შედარებულია **იქსთან**. იქსი **ბერძნული მითოლოგიის** პერსონაჟია. დაასახელეთ იქსი **ექვსი ასოსგან** შემდგარი სიტყვით.

პასუხი: მიდასი
კომენტარი: მიდასი ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟია, რომელიც ერთი შეხებით ყველაფერს ოქროდ აქცევდა. ჟურნალმა ბიზნესმენი მიდასს შეადარა.

13. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ **ზაფხულს** ლას-ვეგასში იმდენად **მცხუნვარე მზე** იყო, რომ მძღოლებმა მანქანის **ანტენებზე** იქსები **წამოაცვეს შესაწვავად**. იქსი შეიძლება იყოს **ტკაცუნა**, **რძიანი** და **საბავშვოც**. დაასახელეთ იქსი სიტყვით, რომელშიც **ყველა თანხმოვანი ერთნაირია**.

პასუხი: სოსისი
კომენტარი: ლას-ვეგასში ამ ზაფხულს იმდენად ცხელი ტემპერატურა იყო, რომ მძღოლებმა სოსისები შეწვეს მანქანის ანტენებზე. შეკითხვის მეორე ნაწილში ჩამოთვლილია სოსისის სახეობები.

14. 6-ქულიანი შეკითხვა
ამჟამად იქსი არის **უინძორების** საგვარეულოს წარმომადგენელი **უილიამი**. **მე-19 საუკუნის 80-იანი** წლების **ნაწარმოებში** იქსი **ედუარდია**. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით, რომლებიც **ერთსა** და **იმავე ხმოვანზე** იწყება.

პასუხი: უელსის უფლისწული
კომენტარი: ნაწარმოებში "უფლისწული და მათხოვარი" ედუარდ ტიუდორი უელსის უფლისწული და ტახტის მემკვიდრეა. ამჟამად რეალური უელსის უფლისწულია უილიამი უინძორთა საგვარეულოდან.

15. 7-ქულიანი შეკითხვა
იქსი თავდაპირველად განკუთვნილი იყო ამერიკელი **ჯარისკაცებისთვის**, რათა მათ ჰქონოდათ ისეთი **შოკოლადი**, რომელიც **სიცხეში მარტივად** არ **დადნებოდა**. ასტრონავტი, სახელად **მ**აიკ **მ**ასიმინო, კოსმოსში პირით იჭერდა **მრგვალ იქსებს**. დაასახელეთ იქსი **აბსოლუტურად** ზუსტად.

პასუხი: M&M's
ჩათვლა: ემ-ენდ-ემსი
კომენტარი: ამ ცნობილი შოკოლადის საფირმო ფრაზაა, რომ ის დნება პირში და არა ხელში. კოსმოსში მყოფი ასტრონავტი პირით იჭერდა სივრცეში გაფანტულ ემ-ენდ-ემსის კანფეტებს. ასტრონავტის სახელისა და გვარის პირველი ასოები - "მ" და "მ" დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა.